ფრე კიშინიოვში

კიშინიოვში, ადგილობრივ “მოლდოვასთან” მატჩში თბილისის დინამოელები ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ მოედანზე: კოტრიკაძე, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, პეტრიაშვილი, ხელაძე, მეტრეველი, კალოევი, ბარქაია, მესხი. მათ დასაწყისშივე მაღალი ტემპი შესთავაზეს მასპინძლებს. ერთხანს “მოლდოვას” დაცვას იმდენად გაუჭირდა, რომ მის დასახმარებლად საკუთარ საჯარიმო მოედანზე თავი მოიყარა მასძინძლეთა თითქმის ყველა ფეხბურთელმა. ამ მასირებულ დაცვასთან ვერაფერი გააწყვეს თბილისელებმა. შემდეგში თამაში ერთხანს გათანაბრდა და ბურთმა მოედნის ცენტრში გადაინაცვლა.

მთელი მატჩის განმავლობაში თბილისელებს კარის აღების გაცილებით მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ, ვიდრე მასპინძლებს, მაგრამ 90 წუთი ისე მიიწურა, რომ მაყურებლებმა ვერ ნახეს კარის აღების შემთხვევა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ - 0:0.

“ლელო”, 26 სექტემბერი, 1963 წ.